



## სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია

### დანართი № 7

#### დისციპლინარული პროცედურები წითელი ზარათის და საითინგის დროს

##### 1. წითელი ზარათი

- 1.1. მატჩის დროს მსაჯის მიერ წითელი ზარათით მოთამაშის/პიროვნების სათამაშო არედან გაძევება, ნიშნავს მოთამაშის/პიროვნების გაძევებას ამ კონკრეტული მატჩის ბოლომდე.
- 1.2. მსაჯი რომელმაც წითელი ზარათით გააძევა მოთამაშე/პიროვნება მატჩის დროს, ვალდებულია შეავსოს და მოაწოდოს სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს წითელი ზარათის ოქმი არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში მატჩის დასრულებიდან.
- 1.3. წითელი ზარათის ოქმში აღწერილი დარღვევის წინასწარი შეფასების შემდეგ, დარღვევის განსახილველად მიღების შემთხვევაში, სრკ-ს სადისციპლინო სამსახური ნიშნავს სადისციპლინო კომისიას, რომელიც დამრღვევ მოთამაშის/პიროვნების მხარეს გონივრულ ვადაში ატყობინებს და აწვდის დისციპლინარული დაღვევის შესახებ მის ხელთ არსებულ მასალებს (წითელი ზარათის ოქმი, ვიდეომასალა და ა.შ.). **წინააღმდეგ შემთხვევაში წითელი ზარათის მიმღები მოთამაშე/პიროვნება არ ითვლება რამენაირად შეზღუდულად.**
- 1.4. სადისციპლინო კომისია გონივრულ ვადაში (მაგრამ არაუგვიანეს 10(ათი) სამუშაო დღისა), წერილობით(ელ.ფოსტით) ატყობინებს რელევანტურ მხარეს სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებას.

##### 2. საითინგი (პიროვნების/სრკ-ს წევრი სუბიექტის მიერ)

- 2.1. პიროვნებები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ მოთამაშეების და/ან სხვა პიროვნებების მხრიდან სავარაუდოდ მომხდარი თამაშის წესების დარღვევის და/ან ქცევის კოდექსის დარღვევის ან არამართებული ქცევის ინციდენტების დაფიქსირება სათამაშო სივრცეში ან მის მიღმა, **გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მატჩის ოფიციალური პირების მიერ მოხდა ინციდენტ(ებ)ზე რეაგირება.**
- 2.2. პიროვნებებმა, მოთამაშეების და/ან სხვა პიროვნებების მხრიდან, მატჩის დროს სავარაუდოდ მომხდარი თამაშის წესების დარღვევის და/ან ქცევის კოდექსის დარღვევის ან არამართებული ქცევის ინციდენტების შესახებ წერილობით უნდა მიმართონ, მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია და მხარდამჭერი მონაცემები საითინგ კომისიას ან მის ლიეიზონ ოფიცერს, **24(ოცდაოთხი) საათის განმავლობაში** იმ მატჩის დასრულებიდან, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ ინციდენტებს.
- 2.3. იმ შემთხვევაში, თუ სრკ-ს მხრიდან მატჩზე არ იყო დანიშნული საითინგ კომისარი ან მისი ლიეიზონ ოფიცერი ან ინციდენტს ადგილი ჰქონდა სათამაშო სივრცის მიღმა, პიროვნებებმა, მოთამაშეების და/ან სხვა პიროვნებების მხრიდან სავარაუდოდ მომხდარი თამაშის წესების დარღვევის და/ან ქცევის კოდექსის დარღვევის ან არამართებული ქცევის ინციდენტების შესახებ, წერილობით უნდა მიმართონ, მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია და მხარდამჭერი



მონაცემები სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს, მატჩის დასრულებიდან ან სათამაშო სივრცის მიღმა მომხდარი ინციდენტიდან, **48(ორმოცდარვა) საათის** განმავლობაში.

**2.4.** პიროვნების მიერ საითინგში აღწერილი დარღვევის წინასწარი შეფასების შემდეგ, დარღვევის განსახილველად მიღების შემთხვევაში, სრკ-ს სადისციპლინო სამსახური ნიშნავს სადისციპლინო კომისიას, რომელიც დამრღვევ მოთამაშის/პიროვნების მხარეს გონივრულ ვადაში ატყობინებს და აწვდის დისციპლინარული დაღვევის შესახებ მის ხელთ არსებულ მასალებს (საითინგი, ვიდეომასალა და ა.შ.).

**2.5.** საგარეუდო თამაშის წესების დამრღვევი და/ან ქცევის კოდექსის დამრღვევი ან არამართებული ქცევის ჩამდენი მოთამაშე/პიროვნება არ ითვლება რამენაირად შეზღუდულად, სრკ-ს სადისციპლინო სამსახურის მიერ საჩივარის მიღების დადასტურებამდე.

- სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება, შესაბამისი (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია მუხლი 15) პროცედურების დაცვით, შესაძლებელია გასაჩივრდეს სრკ-ს სააპელაციო საბჭოში გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან **72(სამოცდათორმეტი) საათის** განმავლობაში.